ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №GF/M-R6/S-148

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ.თბილისში, 2009 წლის 31 დეკემბერი

ერთის მხრივ, **სსიპ *„საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“*** (მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი; კოდი №220101502; ანგარიშის №360898102052720400 02 (005606773) საიდენტიფიკაციო კოდი №211327580) (შემდგომში – **„შემსყიდველი“**) და მეორეს მხრივ, სსიპ **„ლ.საყვარელიძის სახელობის *დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“*** (მისამართი: ქ.თბილისი 0177, მ. ასათიანის ქუჩა №9, საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351, ბანკი: „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ანგარიშის ნომერი 63408016048, საბანკო კოდი 220101752) (შემდგომში – **„მიმწოდებელი“**) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი „გლობალური ფონდის“ პროგრამის: ***„მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება“*** (პროგრამა: №GEO-607-G04-M, შემდგომში **„პროგრამა“**) ფარგლებში – ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გაიმარჯვა „მიმწოდებელის" წინადადებამ და აიღო ვალდებულება გაუწიოს „შემსყიდველს“ მოთხოვნილი მომსახურება, რომლის საერთო ღირებულებაა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე - **966,875.70** (ცხრაასსამოცდაექვსი ათას რვაასსამოცდათხუთმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი (შემდგომში: **„ხელშეკრულების ღირებულება“). „მიმწოდებელს"** მიწოდებულ მომსახურებაზე თანხა აუნაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მიმწოდებლის მიერ აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების და სახარჯი მასალების (შემდგომში - **„აქტივები“**) გამოყენებით, რომლებიც მას გადაეცემა მინდობით, სარგებლობის უფლებით და გამოყენებული იქნება მხოლოდ კომპონენტის მიზნებისათვის.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;
   გ) გასაწევი მომსახურების /დავალებული მოქმედებების ჩამონათვალი;
   დ) ტექნიკური დავალება;
   ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები.

2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას გაუწიოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით, რომლის შეცვლაც შესაძლებელია მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

„შემსყიდველის" სახელით

სსიპ *„საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"*
მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი

ნინო ესაკია

აღმასრულებელი დირექტორი

ბ. ა.

„მიმწოდებელის" სახელით

სსიპ *„ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"*
მისამართი.: ქ.თბილისი 0177, მ. ასათიანის ქუჩ. №9;

პაატა იმნაძე

გენერალური დირექტორი

ბ. ა.